ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

## პირველი წელიწადი

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 9. სამშაბათი. I. 30 აპრილს 1868 წ.


**შინაარსი:** აბრეშუმის მოყვანაზედ.—რუხეთიდამ კორრესპონდენცია (მოწერილი წიგნი).—ცხენის პარტახტიანი შავი სახადი და იმისი წამალობა.—ჭიზიყელები ინგილოებში.—არითმეტიკა.

## აბრეშუმის მოყვანაზედ.

### როდესაც აბრეშუმის ჭია იზრდება, მაშინ როგორ უნდა მოექცეს იმას პატრონი.

ვისაც აბრეშუმის ჭიის მოყვანა ჰსურს, იმას უთუოდ უნდა ჰქონდეს ცალკე ნათელი, სუფთა და ბუხრიანი ოთახი, რომ, თუ ვინიცობაა სიცივე იყოს, ოთახის გათბობა შეიძლებოდეს, რადგან სიცივე სწყენს ჭიას.

რომელ ოთახშიაც ჭიის მოყვანა ჰსურთ, იმ ოთახში უნდა გააკეთონ თაროები, ისეთი კი რომ ოთხივე მხრიდგან ღია იყოს და გარს სიარული შეიძლებოდეს. ამისათვის ოთახის შუა ალაგას უნდა დაურჭონ ოთხი მკლავის სიმსხო სწორე კეტები, ისე რომ ყუთის კუნჭულებისავით გამოდიოდეს. სიგრძეზე ეს კეტები ორ ადლზე უნდა იყვნენ დაშორებულნი და სიგანეზედ ერთ ადლზე. ამ კეტებს გარეშემო სამ პირად ჯოხები უნდა შემოაკრან ლურსმებით, ისე რომ ჯოხიდამ ჯოხამდის ორი მტკაველი იყოს დარჩომილი. ამ ჯოხებზედ უნდა გააწყონ წნელის ლასტები და ამ გვარად გამოვა სამი ოთხივე მხრიდგან ღია თარო. ამისთანა თაროებს ყველა ადვილად გააკეთებს. ამოდენა თარო მისხალნახევარი თესლისთვის არის საკმაო, და ვისაც მეტის მოყვანა უნდა, იმან თაროც უფრო გრძელი უნდა გააკეთოს.

როდესაც ჭიის გამოყვანის დრო მოვა, ერთ თაროზედ უნდა დაუგონ ქაღალდი (თუნდ დაწერილი იყოს, გასვრილი კი არა), და თესლი დაყარონ. როგორც ზევითა ვსთქვით კარგი იქნება, რომ პირველსა და მეხუთე დღეს გამოსული ჭია გადაყარონ და რაც მეორე, მესამე და მეოთხე დღეს გამოვა—ის შეინახონ.

კანის გამოცვლის, ანუ ძილის წინა დღეს და ერთი დღეც ამის შემდეგ ჭია არასა სჭამს; მაგრამ კანის გამოცვლის შემდეგ რომ ერთი დღე გაივლის, მაშინ ჭიას დიდი მადა აქვს, ამიტომ ჭმევაც კარგი უნდა; რომ ჩქარა გაიზარდნენ, ოთახში უნდა თბილოდეს, ამისთვის, თუ ცივა, უნდა უთუოდ ბუხარი გაახურონ; რამდენიც ეთბილებათ, იმდენი საჭმელს უფრო კარგა სჭამენ და მალეც გაიზდებიან, და რამდენიც მალე გაიზდებიან, იმდენი პარკებსაც მალე გააკეთებენ და ეს, როგორც წინა ფურცელში ვსთქვით, პატრონისთვის მოგება იქნება. ჭიას სინათლე უყვარს, ამიტომ ნათელ ოთახში უნდა გამოიყვანონ, ეს კია რომ მზე პირდაპირ არ უნდა დასცქეროდეს, თორემ დაჰთუთქავს. თესლიდგან რომ გამოვა ჭია, ორი დღის შემდეგ უნდა დაუწმინდონ, ამისთვის ალაგი უნდა გადაუნაცვლონ. ჭიებზედ უნდა დააწყონ ფურცლის (თუთის) შეფოთლილი ნორჩი ტოტები, და როდესაც ჭიები აცოცდებიან ზედ, მაშინ ეს ტოტები სუფთა ალაგს უნდა გადააწყონ და ნაჭამი ფოთლები გადაყარონ, ისე კი რომ თან ჭია არ გაატანონ.

ბუდის დაწმენდა ჭიებისთვის ძალიან საჭიროა, რადგან ერთად დაგროვებული ფურცლის ნაჭამი ფოთლები ჰაერს აფუჭებენ და ეს გაფუჭებული ჰაერი ძალიან სწყენს ჭიას. ბუდეს რომ დაუწმენდენ, მაშინ ჭია უნდა ცოტა ფართოდ გაფინონ და რამდენიც გაიზდება უფრო და უფრო დიდი ალაგი უნდა დააჭერინონ თაროზედ, იმიტომ რომ შეჯგუფებული ჭია ერთმანერთს ჰსჩაგრავს და ჰაერსაც ახდენს. წმინდა ჰაერი ძალიან საჭიროა ჭიისათვის, ამისაგამო როცა თბილი, უქარო და მზიანი დღე იყოს, უნდა ფანჯრები გააღონ და ჰაერი დაუწმინდონ, მაგრამ ორი პირდაპირი მხრიდგან კი არ უნდა იმუშაოს ქარმა, თორემ აწყენს. ბოლი ძალიან სწყენს ჭიას, მეტადრე თამბაქოს კომლი, ამისგამო უნდა მოარიდონ, და ბუხარიც ისეთ უნდა იყოს, რომ კომლი არ გამოდიოდეს; აგრეთვე კატები, თაგვები, ღამურები, ფრინველები და ყველა გვარი სხვა ქიაც მავნებელია აბრეშუმის ჭიისთვის.

მანამ ხუთი დღისა გახდება ჭია უნდა ორ საათში ერთხელ დაუყარონ ნორჩი ფურცელი (ზოგი ჭიის მომყვანი პირველ დღეს ფოთოლს უკუწავს და ისე აჭმევს); ამასთან იმდენ-იმდენი უნდა დაუწყონ, რომ ოთხ დღეში ორი გირვანქა ფურცელი შეჭამონ. რადგან კანის გამოცვლის (ძილის) წინ და შემ-

ფეგ დღეს ჭიები ცოტასა სჭამენ, ამიტომ მაშინ საჭმელიც ცოტა უნდა დაუყარონ და როცა კი მადა მოუვათ, მაშინ საჭმელიც მეტი უნდა მისცენ. თავის დროს რომ საჭმელი არ მოაკლდეს, ფურცელი უნდა ყოველთვის დამზადებული იქონიონ; საჭმლის დამზადება არ არის ძნელი, რადგან ყმაწვილებსაც შეუძლიანთ ფურცლის ტოტების მომტვრევა. დამზადებული ფურცელი უნდა წმინდა ალაგზედ ან ჭილობზედ გაფინონ და ისე შეინახონ, ამასთან ისეთ ალაგას, რომ არ დაჭკნეს; გროვად შენახული ჩახურდება და გაფუჭდება და ჭიასაც ძალიან აწყენს. სველი ფურცელიც აწყენს ჭიას, ამის გამო როდესაც წვიმიან ამინდში მოკრიფონ, უნდა ჯერ გაფინონ ჭილოფებზედ, რომ გაშრეს და მერე აჭამონ. ჭიას თეთრი თუთა უფრო უყვარს, ამიტომ იმის ფურცელი რომ აჭამონ უფრო ემჯობინება. როცა ფოთოლს უყრიდნენ ისე უნდა დაუყარონ, რომ თანასწორედ იყოს მოფენილი და რამდენიმე ფოთოლი ერთ ალაგას არ იყოს შეჯგუფებული.

ჭანის გამოცვლის ანუ ძილის შემდეგ მესამე დღეს ჭიას კიდევ უნდა დაუწმინდონ და მაშინ თაროს ნახევარი ალაგი დააჭერინონ. ამდროს საჭმელი ისე უნდა აძლიონ და იმდენი, რომ სამდღეში ექვსი გირვანქა ფურცლის ფოთოლი შეჭამონ.

მეორე ძილის ანუ კანის გამოცვლის შემდეგ მესამე ძილამდის ჭიას ორჯერ უნდა დაუწმინდონ ალაგი: ერთი მესამე დღეს და მეორე იმის შემდეგ მეორე დღეს. მაშინ ადგილის დაწმენდა, ანუ ბუდეების გამოცვლა კარგი იქნება, რომ ბადის შემწეობით მოახდინონ. ამისათვის უნდა აიღონ მეთევზის ბადე და იმოდენა მოსჭრან, რამოდენაც თაროა, ესე იგი სიგანით ერთი ადლი და სიგრძით ორი ადლი; მერე უნდა შუაზედ გაყონ და მიწის საცერივით ოთხკუთხ ჩარჩოზედ გადაჭიმონ. (ჩარჩოს სიგრძე და სიგანე უნდა ერთი ადლი). როდესაც ჭიისათვის ბუდის გამოცვლა უნდოდესთ, მაშინ ამ ბადეზედ ფურცელი უნდა დაუყარონ და ჭიის თაროზედ დადონ. ჭიები რომ აცოცდებიან ზედ, მაშინ სხვა ალაგას უნდა გადაიტანონ და ბუდეს რომ დაუწმენდენ, უნდა ისევ თავის ალაგას გადმოიტანონ. ამ ბადეების შემწეობით შეიძლება ბუდე ყოველთვის სუფთად შეუნახონ ჭიებს. ამისათვის როდესაც ბუდეებს გაუწმენდავენ და ჭიებს ისევ თავის ალაგას გადაიტანენ, ბადე ისე უნდა გაუშვან და საჭმელი ზედ დაუყარონ ხოლმე. როცა შეატყონ, რომ გაწმენდა უჭირდეს, ბადე უნდა აიღონ, დაუწმინდონ ქვეშ და მერე ისევ დადონ. ეს ბადეები ძალიან აადვილებენ ჭიების ბუდის გასუფთავებას, მაგრამ ესკია რომ მხოლოდ მეორე ძილის შემდეგ შეიძლება ახმარონ, ადრე კი არა, რადგან ამაზედ ადრე ჭიები წვრილები არიან და ბადისაგან ადვილად დაიჭყლიტებიან. მეორე ძილის შემდეგ ჭიებს უფრო დიდი ალაგი უნდათ; მაშინ უნდა მთელი თარო დააჭერინონ. ამისათვის, როცა დასაწმენდად ბადეს დაუგებენ, უნდა ყური უგდონ, და ნახევარი რომ აცოცდება ბადეზედ, მაშინ უნდა ააცალონ და ახლა მეორე ბადე დაუგონ, რომ ნახევრიც იმაზედ აცოცდეს; გაწმენდის შემდეგ ორივე ბადე თაროზედ ერთმანერთის გვერდზედ უნდა დადონ. მეორე კანის გამოცვლის შემდეგ ჭიას იმდენი უნდა აჭამონ, რომ მესამე დაძინებამდის (ოთხ-ხუთდღეს) თვრამეტი გირვანქა ფურცელი მოუნდეს.

მესამე კანს რომ გამოიცვლის, მაშინ ჭიას ორი თარო მოუნდება, და დაწმენდაც ორჯერ უნდა: ერთი—ძილის მესამე დღეს და მეორე—მეხუთე დღეს,—სწორედ ისე, როგორც მეორე ძილის შემდეგ დაუწმენდენ ხოლმე, აგრეთვე ბადეების შემწეობით. მესამე კანის გამოცვლიდგან მეოთხე კანის გამოცვლამდის (ოთხ ხუთ დღეში) ჭიამ უნდა შეჭამოს ორმოცდა თოთხმეტი გირვანქა, ან ექვსი ლიტრა ფურცელი.

მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ ჭიაებს სამივე თარო უნდა დაახაფრინონ და ბუდეც ორჯერ უნდა დაუწმინდონ: ერთი მეოთხე ძილის მეოთხე დღეს და ერთიც მეშვიდე დღეს. მეოთხე ძილის შემდეგ ჭიები ძალიან ბევრსა სჭამენ და პარკების გაკეთებამდის უნდებათ შვიდ ფუთ ნახევარი ფურცელი. როგორც სჩანს ანგარიშიდგან, მისხალნახევარი თესლიდგან გამოსულ ჭიას მთელ თავის სიცოცხლეში უნდება საჭმელად ცხრა ფუთ ნახევარი ან ათი ფუთი თუთის ფურცელი.

ჩვენში აბრეშუმის მკეთებლები არც იმას დასდევენ, თუ როდის უფრო ბევრი საჭმელი უნდა ჭიას და როდის ნაკლები და არც იმას, თუ რა ზომით. ჩვენში ჭიის მომყვანებმა იციან, როცა მოჰხვდებათ, მაშინ აჭმევენ; და ზოგნი კი იმდენს გააჩენენ, რომ საჭმელს ველარ შოულობენ და ჭმევის მაგიერად—ამარხულებენ ხოლმე საწყლებს. ესეთი მოუფიქრებლობა და დაუდევნელობა რასაკვირველია კარგ მოსავალს არ მისცემს აბრეშუმის მომყვანს და უფრო მეტჯერ სწორედ ეს დაუდევნელობაა მიზეზი, რომ ჩვენი მეაბრეშუმე მანდილოსნები ერთმანერთს შესჩივიან ხოლმე: „ჩემი ჭია სულ წახდაო“, „ჩემა კი, რაღაცა ღმერთი გაუწყრა, ცუდი პარკები გააკეთაო“. ყველა აბრეშუმის მომყვანმა უნდა იცოდეს, რომ როგორც მეტი საჭმელი, ისე ნაკლებიც მავნებელია იმის მოგებისთვის, და ამასთან რამდენისთვისაც საჭმელი ეგულებათ იმაზე მეტი არ უნდა გააჩინონ; სწორედ იმ ზომაზედ რომ აჭამოს და იმდროს, როგორც ზევითა ვსთქვით—მაშინ უეჭველია ცოტანილა იჩივლებენ ჭიის გაფუჭებაზედ და ცუდი პარკების გაკეთებაზედ.

### ცოცხების დაწყობა.

მეოთხე ძილის შემდეგ მეცხრე დღეს აბრეშუმის ჭია პარკში ჩაჯდება და აბრეშუმს დაუწყებს ქსელვას. ყველა გვარმა ჭიამ (მატლმა) იცის, რომ თავის აბლაბუდეს ხეზე ან ხის ტოტებზედ გააკეთებს ხოლმე; აბრეშუმის ჭიასაც ესეთი ხასიათი სჭირს და ამის გამო ამათაც ისეთი რამე უნდა გაუკეთონ, რომ ზედ თავიანთ პარკების მიკვრა შეეძლოსთ. ამისთვის აკეთებენ ცოცხებს ანუ საპარკეებს. სხვაგან ცოცხებს ნამჯისას აკეთებენ: უნდა აიღონ მაჯის სიმსხო ნამჯის კონა, თავი და ბოლო თანასწორედ დააჭრან, ასე რომ სიგძით ორ მტკაველზე ცოტა მეტი იყოს, მერე შუა ალაგას უნდა თავი მოუჭირონ და ბოლოები გაუფარჩხონ ცოცხისავით; ცოცხები წვრილი წნელებისაც შეიძლება გაკეთდეს. თავის დროზედ ცოცხები უნდა დასხან ისე, რომ ერთი გაფარჩხული ბოლო ზევით ჰქონდეს და ერთი ქვევით და ყველა თაროებზედ ოთხ რიგათ, ისე რომ სიგრძეზედ თორმეტი ცოცხი მოვიდეს. თაროებზედ ცოცხები მაგრა უნდა იდგნენ, და ბოლოებიც კარგა უნდა ჰქონდეს გაფარჩხული, რომ შუაში ცარიელი ადგილები ჰქონდეს დარჩენილი და ჭიებმა ადვილად გააკეთონ შიგ პარკები. მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ რომ შვიდი დღე გავა, ცოცხები მაშინ უნდა დასხან თაროებზედ, რადგან მეცხრე ან მერვე დღეზე ჭიები მადას ჰკარგვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ტყავი ექმუქნებათ, მოუსვენრად დაცოცავენ და აბლაბუდეს მსგავსი წმინდა ქსელი გამოჰსდისთ ტყავიდგან. მაშინ რომ ცოცხს იპოენის ჭია, ზეცით წვერზედ აცოცდება ხოლმე (მანამ აცოცდება ერთი დღე ღამე გადის), იმ გაფარჩხულში აირჩევს ალაგს და დაიწყებს პარკის ქსელვას. აბრეშუმის პარკები სახით და სიდიდით მტრედის კვერცხსა ჰგვანან, ზოგი პარკი ყვითელი ფერისაა, ზოგი—თეთრისა და ზოგიც ღია-მწვანე ფერისა—სხვა ფერ პარკებს კი არა ჰქსელვენ აბრეშუმის ჭიები. ზოგი ერთი ჭიები ვერ აცოცდებიან ხოლმე ცოცხზედ, თავიანთ აბრეშუმს უბრალოდ ცოცვაში ჰკარგვენ და მერე უსარგებლოდ კვდებიან. ამისთანა ჭიები უნდა ქაღალდებში ჩასხან და ისე დააწყონ; მაშინ ესინი ველარსად იცოცებენ და პარკებსაც გააკეთებენ. ცოცხის მაგიერათ შეიძლება ბურბუშელა და წვრილი ნაფოტი იხმარონ: მაშინ ეს თაროებზედ უნდა გაჭიმონ და ჭიები ზედ თავიან პარკებს გააკეთებენ.

(შემდეგი იქნება).

## კორრესპონდენცია რუსეთიდგან.

**მოსკოვი.** რუსეთში წელს, როგორც გაიგონებდით, ძლიერ დიდი შიმშილობაა. რომელ გაზეთშიც უნდა ჩახედოთ, ყველგან ჰნახავთ მასზედ ჩივილს.—მართალია რუსეთში, განსაკუთრებით ზოგიერთ სამხრეთ გუბერნიებში შიმშილს ხშირად ჰგრძნობენ მცხოვრებლები; მაგრამ წელს იგი საზოგადო ჭირი შეიქმნა. მთავრობა და ყოველ გვარი საზოგადოება დიდ შემწეობას უჩენენ დამშეულებს: სადაც კი გაიხედავთ, ყველგან ჰკრებენ მათთვის შესაწევ ფულებს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს შემწეობა, რაც უნდა დიდი იყოს, ყველა დამშეულებს ძნელათ დააკმაყოფილებს. შიმშილი, როგორც სხვა ყოველ გვარი ჭირი, უმეტესად აწუხებს და სდევნის იმ საცოდავ მუშა ხალხს, რომლის ნამუშავარით, ვინ იცის, რამდენ მდიდარ ვაჭრებს და სხვა-და-სხვა მოხელეებს აქვთ მაძღარი კუჭი. როგორც იწერებოდნენ სხვა და სხვა გაზეთებში, წელს იმდენზე მიაღწევინა შიმშილმა მდაბალ ხალხს, რომ მრავალი მათგანი თურმე სტოვებდა თავიანთ სოფლებს და სახლსა და კარს, და თავის ცოლ-შვილით გადადიოდა უფრო მაძღარ გუბერნიებში. მაგრამ ეგრეთი მავნებელი მოგზაურობა მომავალისათვის მალე აღეკრძალა მათ მთავრობისაგან.

ერთი ჭირი კმაროდა და საუბედუროთ მეორეც ზედ მოემატა.—დამშეულებს სიცივემაც გაუჭირა საქმე. რუსეთში სიცივე და გრძელი ზამთარი ჩვეულებრივი საქმეა; მაგრამ წელს აქ უფრო საგრძნობელი იყო სიცივე, ვიდრე სხვა წინა ზამთრებში. წელს აქ აგრეთი ყინვები იყო, რომ ვისაც თვითონ არ გამოუცდია აგრეთი ყინვები, მისთვის ძნელი წარმოსადგენია მათი ძალა. რომ უფრო ცხოველად წარმოიდგინო, მკითხველო, ეს ყინვები, მე ერთს მაგალითს მოგახსენებ, რომელიც მე თვითონ ვნახე ჩემი თვალებით. ერთ დღეს ამ ყინვების დროს მე მივდიოდი ქუჩაში. ერთ ადგილს მე დავინახე, რომ მეიდანზე რაღაცა ხალხის გროვა იყო, რომელსაც მცქერელები თან და თან ემატებოდნენ. ცნობის-მოყვარეებამ მეც მიმიზიდა და გამოუდექი უკან სხვებს. იმისთანა სანახავი უნახავს თქვენ მტერს, როგორიც მე ვნახე, როცა მივედი და გადავიხედე მაცქერლების შუაში.— აქ იდგა ერთი ძველი დროშკა, რომელშიაცება ერთი გამხდარი თეთრი ცხენი, რომელსაც ჩამოეყარა ყურები და ჩამოეშო ლაშები თითქო თავის პატრონს გლოვობსო. დროშკაზე იჯდა მოხუცებული მედროშკე, რომელსაც მოეხარა ცოტათ კისერი და ხელებში ეჭირა მაგრათ აღვირის სადავეები. ვისაც უნდა დაენახა ეს საცოდავი, პირველად ვერავინ ვერ იფიქრებდა, თუ მისს ძარღვებში თბილი სისხლი აღარ ბრუნავდა. მაგრამ ის კი არა, ვინ იცის, თუ რამდენი ხანია სული ამოსლოდა საწყალს. მივედი თუ არა, ამ დროს მოჰკიდეს მას ხელი ორმა პოლიციის სალდათებმა, რომლებსაც უნდოდათ გადმოეღოთ იგი მჯდომი ფიცრიდგან, და მოსწიეს; მაგრამ ისე მაგრათ მიეყინა ის საცოდავი, რომ ძლივს მოაცილეს. როცა გადმოათრიეს ჩადვეს იგი თავისავე დროშკაში და გაუძღვენ პოლიციისკენ.

ეს საწყალი თურმე ორი საათი მეტი ატარა გაშეშებული, როგორც მითხრეს აქ მდგომმა ვაჭრებმა, თავისმა ცხენებმა; მაგრამ ვერავინ ვერ იფიქრა, თუ ის გაყინული იყო და ცხენი თავის ნებისად დადიოდა. მერმე, ოდესაც ის შაიტანა ცხენმა ვიწრო ქუჩაში, მაშინ ერთი ვიღაცა მედროშკე მოაქანებდა ცხენებს, რომელსაც უჯდა ვიღაცა მდიდარი. როცა დაინახა, რომ გაყინული მედროშკე გზაზე არ უდგებოდა, მან შემოჰყვირა „ჩამოდექიო". გაყინულმა რასაკვირველია მისი ბრძანება ვერ აღასრულა. მაშინ იმან გაჯავრებულმა ჩამოუქროლა მას გვერდზედ და უპირებდა ერთი მათრახი ეთავაზებინა; მაგრამ როცა ჩააცქერდა, შეატყო თუ რისთვისაც არ ემორჩილებოდა ის მისს ბრძანებას. მაშინ მან დაუძახა მახლობლად მდგომ პოლიციის სალდათს და მიუშვირა ხელი გაყინულ მედროშკეზე; თვითონ კი გასწია თავის გზაზე, რადგანაც მისს ალას მიეჩქარებოდა სადღაც. ამისთანა ყინვები რასაკვირველია უფრო მალე მოერევა, მკითხველო, დამშეულებს, ვიდრე მაძღრებს.

საზოგადოთაც რომ ვსთქვათ, ღარიბების და დამშეულების მდგომარეობა რუსეთში და ამ გვარ ცივ ქვეყნებში უფრო ძნელია, ვიდრე თბილ ქვეყნებში, როგორც მაგ. ჩვენში. ეს ამისათვის, რომ თბილ ქვეყნებში დამშეულებს შეუძლიათ, რომ ალისუბუქონ თავიანთი მდგომარეობა მცენარის საჭმელებით და სხვა-და-სხვა გვარი ნაყოფებით (ხილით). რადგანაც ამ გვარ ადგილებში ბუნება უფრო მდიდარიც არის და დედამიწის კანიც იშვიათად დაიფარება თოვლით. ცივ ქვეყნებში კი, მაგ. როგორც რუსეთში, ნახევარი წელი მეტი ძევს დედა-მიწაზე ღრმა თოვლი. თბილ ქვეყნებში ამას გარდა ღარიბ ხალხს იმდენი შეშა და ისეთი თბილი ტანისამოსი არ უნდა, როგორც ცივ-ქვეყნებში, სადაც ცივი და გრძელი ზამთარია. რუსეთში, ნამეტურ ჩრდილოეთის გუბერნიებში მუშა ხალხი ძლიერ ღარიბია. აქ გლეხები ბედნიერად რაცხიან თავის თავს, თუ შავი პური და კომბოსტოს წვენი არ აკლიათ. სახსნილოს მრავალი მათგანი დიდ-ბედნიერ დღეებშიაც ვერ ნახვენ თვალით. მართალია მეწველი ძროხა ჰყავს ზოგიერთს, მაგრამ თუ რძეთ არ მოიხმარეს, სხვაფერ გამოუყენება არ იციან. ყველის მომზადება მათში იშვიათია. ღვინის ნაცვლად ხმარობენ მჟავე სასმელს (კვასს), მაგრამ ზოგიერთს იმისი შოვნაც უჭირთ. მართალია ძლიერ სმენ ზოგიერთი მათგანი არაყს, თუ ფული იშოვნეს, მაგრამ შესარგებლოდ კი არა. ამიტომ რომ ისეთი ჩვეულება აქვთ, როცა კი იშოვნიან უთუოდ დაითვრებიან. ზოგიერთი გლეხი, ნამეტურ თუ ჯალაბი არა ჰყავს, მთელ კვირაში მონაგებს კვირა დღეს აფუჭებს არაყში. ამ უკანასკნელ დროში მაინც, როგორღაც ძლიერ

გახშირდა რუსეთში სიმთვრალე და დიდ ვნებასაც აძლევს ხალხს, რასაკვირველია, მსმელებს და არა გამყიდველებს. ამ ბოროტებაზე ძლიერ თავ-გამოდებულნი არიან ზოგიერთი გაზეთების რედაქტორები. ისინი ურჩევენ მთავრობას, რომ არაყის ბაჟი ძლიერ გაჰდიდოს, იქნება ამითი ცოტათ მაინც დაიკლოს არაყის დუქნების რიცხვმა და შესუსტდეს სიმთვრალე. რუსის მემთვრალენი ყოველთვის პოულობენ თავის გასამართლებლად მიზეზს. როცა დღესასწაულია, სმენ და იძახიან: „დაველიოთ, დღესასწაულიაო“. როცა ცოტათ ჯავრიანათ არიან, სმენ და იძახიან: „დაველიოთ ჯავრის გამო“. (съ горя). ესე იგი ვითომც სმენ მისთვის, რომ ჯავრი განაქრონ.

სილარიბე აქაურ გლეხებს ტანისამოსზედაც ეტყობათ. ზაფხულში ისინი იცმენ სელის ძაფისგან მოქსოვილ ტილოს პერანგს და უბრალო რუსის შალის ჩოხას. ფეხებზედ აკრავთ თელის კანისაგან დაბანდული ქალამნები. ზამთარში კი ჩოხების ნაცვლად ცხვრის, ანუ სხვის რისმეს ტყავები აცვიათ. საზამთრო ფეხ-საცმელები ამათი ძლიერ კარგია, მაგრამ სიძვირისა გამო ბევრი ვერ ყიდულობენ. ის ღირს კარგი ორი მანეთი, მდარე ათი შაური. ის არის წალების გვარად მოთელილი ბეწვებისაგან, როგორც ჩერქეზული ნაბდები, ანუ ონური ქეჩები. ეს ფეხ-საცმელი ძლიერ რბილი და თბილი არის. მე ვკითხე ჩვენში ნამსახურ სალდათებს: „ზამოდგება ჩვენში ეს ფეხ-საცმელი, თუ არა თქო“? მაგრამ მათ უარი მითხრეს, იმის გამოთ, რომ ჩვენში ქვიშიან-ქვიანი ადგილებია. გლეხების ცოლები ბევრათ არ განირჩევიან ჩაცმით თავიანთი ქრმებისაგან; როგორც ზაფხულში, ეგრეთვე ზამთარში, თვინიერ მისა, რომ მათ ქუდის მაგიერათ თავსაფარი ხურავთ. ეს უკანასკნელიც რომ არა ჰქონდეთ, მათი განრჩევა ძნელი იქმნებოდა პირველ შეხვედრაზე მამა კაცებისაგან. ერთი სიტყვით აქაური გლეხის დედაკაცები თავიანთი შალის ჩოხით და თელის ქალამნებით ჩვენ ონელი გლეხების ცოლებს მოგაგონებთ, რომ ნახოთ.

აქაური გლეხების სილარიბის მიზეზს თუ იკითხავთ, პირველად მიწის სილარიბე უნდა იყოს, განსაკუთრებით ჩრდილოეთის გუბერნიებში. მეორე მიზეზი ის არის, რომ გამქრალ გლეხების ბატონებზე დამოკიდებულებას ისე დაუცია და დაუჩაგრავს ისინი, რომ მათ წარმატებას და წელში გამართვას დიდი ხანი დასჭირდება, თუ კარგა დააკვირდება კაცი მათ გონებითს და ზნეობითს დაცემულობას. რაც შრომის მოყვარეებას შეეხება, აქაური გლეხები არ არიან ზარმაცები. არა თუ მხოლოდ მამა კაცები, არამედ დედა-კაცებიც კი ღვრიან ოფლს ყანებში, მაგრამ სარჩოს მოწევა მაინც უჭირთ.

ეჭვი არ არის, ჩემი ფიქრით, რომ ჩვენი გლეხები უფრო წინ არიან აქაურ მუშა-გლეხებზე ყველაფრით. მართალია, განათლებას ორივენი მოკლებულნი არიან; მაგრამ ჩვენ გლეხებს უფრო ეტყობათ სიცოცხლე და სიკეთისკენ მიწევა, ვიდრე აქაურ გლეხებს. ჩვენებური ჰაერის, ადგილის მდებარეობის და ამაყი გულის წყალობით, ჩვენი გლეხები ისე დაცემული არ არიან მონაობის უღელით, როგორც აქაური გლეხები. ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი გლეხები მალე გაუსწორდებიან თავიანთ უწინდელ ბატონებს შეძლებით და კეთილ მდგომარეობით. აქ კი, როგორც აქ მოვიხსენე, ეგრეთი თანასწორება ძნელი საქმეა. გარდა ამისა ჩვენებური ნიადაგის სიკეთის წყალობით, ჩვენში საზოგადო შიმშილი მუშა ხალხისა იშვიათი საქმე არის. შიმშილი ჩვენ ქვეყანაში, როცა კი მოხდება, მხოლოდ რომელიმე საქართველოს ნაწილებში. ამ გვარ დამშევისაგანაც ადვილათ იხსნიან მომავალში ჩვენი გლეხები თავს, თუ ღმერთმა ქმნა, და იმათ სოფლებში პურის მაღაზიები გაახშირეს და გაადიდეს, რომლების საფუძველი უკვე დააწყეს. ამ მაღაზიებზე და მათ სარგებლობაზე მინდოდა უფრო გამეგრძელებია ლაპარაკი, მაგრამ წერილის სიმოკლე არ მაძლევს ნებას.

გ. წყალტუბელი.

1868 წელსა 25 მარტს.

---

## ცხენის ავადმყოფობა გადამდები და შესაყარი.

### ცხენის მომფენი პარტასტიანი შავი სახადი.

ეს მომფენი შესაყარი ავადმყოფობა ყოველ დროს დაემართებათ ხოლმე ცხენებს: ზაფხულში, ზამთარში, გაზაფხულზედა და შემოდგომაზედაც. ეს სენი ძალიან შესაყარი თვისებისაა და კარგა მყოფებს შეეყრებათ ხოლმე ავადმყოფებისაგან გამოსუნთქული ჰაერისაგან.

ეს ავადმყოფობა სამნაირი თვისებისაა: ე. ი. ზაფხულში გამოჩენილს სხვა თვისება და ნიშნები აქვს, ზამთარში გამოჩენილს—სხვა და შემოდგომაზედა და გაზაფხულზედ გამოჩენილს კიდევ—სხვა.

ზაფხულში, როცა ძალიანი სიცხეები და გვალვა არის, მაშინ იცის ამ სენმა გამოჩენა. ერთად ბევრ ცხენს ამარცხებს და ერთნაირი თვისება და ნიშნები აქვს.

### ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

თუ ზაფხულში გამოაჩნდა ცხენს პარტასტიანი შავი სახადი, მაშინ ცხენი მოიწყენს, თავს ჩაჰკიდებს და საჭმელსაც აღარა სჭამს; წყურვილი ემატება, ტანშიაც შეიკვრება; გულის ცემა (მკერდის მარცხენა მხარეზედ) სუსტი აქვს, თვალები მღვრივე და ჩქარი (ხშირი) სუნთქვა. ზოგ ცხენს კი ამ გვარად გამოაჩნდება ხოლმე ეს ავადმყოფობა: თავდაპირველად სულა ფთხება, თავს აქნევს მოუსვენრად, კბილებს აკრაჭუნებს, კედლებს ეხლება და სხვ.—ორი სამი საათის შემდეგ კი დაწყნარდება ხოლმე და მშვიდათა დგას.

ორ სამ დღეს შემდეგ ცხვირიდამ ჭუჭყიანი ყვითელი სითხე ჰდის, თავი უსივდება, ხშირი ხველა ემართება, მუცელში ფაღარათობა, მანჭვა-თრთოლა და ბოლოს ხუთ ექვს დღეს შემდეგ, ან ბევრი-ბევრი შვიდ დღეს შემდეგა კვდება.

შემოდგომაზედა და გაზაფხულზედ თუ გაჩნდა ეს სენი, მაშინ ამ ნიშნებით შეიძლება გაიგონ: ცხენი მოიწყენს, სუსტად დადის, ტანში მსხვილ-მსხვილზედ და მყრალზედ გადის; თვალები, ენა და ცხვირის ნესტოებში კანი უყვითლდება; ტანი უხურს, წყურვილი ემატება, მუქ ფერ ლორწო ნებოიან შარდზედ გადის; ოფლი ჰდის, სულს წევს ან არა და გიჟისავით დარბის და იკბინება. ამას შემდეგ დარეტიანდება ხოლმე ცხენი, პირს აღებს, ნესტოებს სჭიმავს, ძნელად ჰსუნთქავს, ხან და ხან ცხვირს კედელს მიადებს ან ახურში ჩაჰდებს და ძაღლისავით დაჯდება ხოლმე; ცხვირიდამ და პირიდამ სისხლი გამოედინება, ფაღარათობა დაემართება (ხან და ხან ყაბზობაც) და ბოლოს ხუთ ან შვიდ დღეს შემდეგ კვდება.

ზამთარში პატრახტიანი შავი სახადი მაშინა ჩნდება, როდესაც ქარიანი ყინვები და ერთბაშათ იცვლება ამინდი, ესე იგი როდესაც სითბოებს შემდეგ უეცრივ აცივდება

მაშინ ამ ავადმყოფობას ამ გვარი ნიშნები აქვს: ავადმყოფი ცხენი ღამ ღამე არა წევს, საჭმელს უმადოთა სჭამს, წყურვილი ძალიანა აქვს, მაგრამ სმის დროს ზარმაცადა სვამს, თითქოს სწოვსო. ორ დღეს შემდეგ მთელი ტანი გაუხურდება, პირი, ენა და ცხვირი გაუცხელდება, თვალებიც ელვას დაუწყებს; სინათლესკენ არ დადგება, ბნელ ალაგს ეძებს, ძალიან და მჭახეთ ახველებს, მძიმედ სუნთქავს (ღრმად კი არა), ხან და ხან კიდეც ამოიკვნესებს ხოლმე; მკერდზედ რომ ხელი დაჭირონ—ტკივილს ამოაჩენს; გარეთაც არ გადის, არც შარდზედა და არც ტანში.

სამს ან ხუთს დღეს შემდეგ დაემართება პატრასტიანი სახადი: ცხვირიდგან დაუწყებს დენას ჩირქის მგზავსი სითხე, თვალები უცრემლიანდება, თავი უსივდება, ფალარათობა ემართება, მანჭვა-გრეხა მოსდის და კვდება. ხანდა ხან ავადმყოფობის დასაწყისში წელ ქვევით ტანი (ფეხები) სწყდება და უკანა ფეხები უდუნდება, მაგრამ მანამ სრულებით არ მოუძლურდება—სულა დგას, და რომ უკანა ფეხები არ ჩაეკეცოს, გავა კედელთანა აქვს მიყრდომილი (მიბჯენილი). თუ ულაყი ცხენი გახდა ამ სენით ავად—სულ პირველად კვერცხები უსივდება ხოლმე.

### გაფრთხილება.

ეს შესაყარი ავადმყოფობა სხვა და სხვა მიზეზისაგან წარმოსდგება, სახელდობ: შეციებისაგან, ნაგუბარი, წამხდარი წყლისაგან, სიცხეებისა და გვალვისაგან, ნიაღვრებისაგან ცივი ქარებისაგან, მძიმე, მოჭარბებული მუშაობისაგან, ვიწრო, მომხრჩვალი გომებისაგან;—ეს სენი გადაედება ხოლმე კარგა მყოფს ავადმყოფის ნეხვისაგან, ოფლისაგან, ფურთხისაგან და სხვ. აგრეთვე გამოსუნთქული ჰაერისაგანაც; ამის გამო ყველა ცხენის პატრონი უნდა ცდილობდეს მოარიდოს თავის ცხენებს ეს ზევით აწერილი ავადმყოფობის მიზეზები, თუ თავის ცხენის კარგა მყოფობა ჰსურს.

### წამლობა.

ამ სენით ავადმყოფი ცხენები უნდა ზომიერად თბილ, ფართო გომებში შეინახონ; აღარ უნდა ამუშაონ არც ზედ უნდა შეჯდნენ; მარილ მოყრილი ფქვილის სასვლეპავი უნდა აჭამონ; დღეში რამდენჯერმე მთელი ტანი ნამჯით უნდა დაუსრისონ; დიდ სიცხეებსა, სიცივეს და ცუდ ამინდს უნდა მოარიდონ, და სადგომებში ორი პირდაპირი მხრიდგან ქარი არ უნდა მუშაობდეს.

შიგნითაც ეს წამალი უნდა აძლიონ: სამოცი მისხალი ეგირის (კოთხუჯის) ძირი და სამოცდა თხუთმეტი მისხალიც ასისთავა ბალახი კარგად აურიონ, მიუმატონ ფქვილი და წყალი, აურიონ ფაფისავით და დღეში სამი საჭმლის კოვზი ჩააყლაპონ: ერთი დილით, ერთი შუადღისას და ერთიც საღამოთი. თუ ცხენს ძალიან ახველებს და არა წვება, ამ ფაფას მაშინ უნდა თვრამეტი მისხალი სასაქმებელი ქვა მიუმატონ და ისე იხმარონ და მკერდის ორივე მხარზედაც პატრუქი უნდა ამუშაონ.

თუ ცხენი ძალიან შფოთიანობს, მაშინ პატრუქი ყურებს უკან უნდა ამუშაონ და თავზედაც მალ მალ წყალი უნდა ასხან. ამ ავადმყოფობაში, თუნდ ციებაც დაემართოს, სისხლის გამოშვება მაწყინარია. თუ ცხენი დარეტიანებულისავით იყოს, მაშინ უნდა აიღონ ერთი ბოთლი aronica montana'თი (აფთექაში იყიდე) შენელებული არაყი, სამი მისხალი წმინდად დანაყილი ქაფური, და ორი საჭმლის კოვზი სკიპიდრის ზეთი (აფთექაში იყიდე), ერთმანერთში კარგათ აურიონ და მალ-მალ ასვან ჯერზედ თითო სტაქანი. თუ წელს ქვევით დადუნებული აქვს, მაშინ გავა ან წელი უნდა გახურებულ რკინით დაუდაღონ და შიგნითაც ეს წამალი აძლიონ: ნახევარ მისხალზედ ცოტა მეტი წმინდად დანაყილი ჩილიბუხა ოცდა ათი მისხალი რკინის შაბიამანი და სამი მისხალიც სასაქმებელი ქვა; ამათ ცოტა წყალი და ფქვილი მიუმატონ, პატარა ცომი გააკეთონ, რომ ორი აბი გამოვიდეს და ერთი აბი დილით ჩააყლაპონ და მეორე საღამოთი. თუ თვალების სიყვითლე ჰქონდეს, მაშინ, ზევით რომ ფაფა ავწერეთ, იმ ფაფას სასაქმებელი ქვის მაგიერარად, ოთხ მისხალ ნახევარი ტკბილი ვერცხლის წყალი უნდა ჩაურიონ და ისე აძლიონ. თუ ყვანა ჰქონდეს ცხენს, მაშინ უნდა აიღონ ექვსი მისხალი წმინდად დანაყილი ასისთავა, სამი მისხალი ეგირის (კოთხუჯის) ძირი, თხუთმეტი მისხალი დიდგულის ყვავილი, ოცდა ათი მისხალი ბალბის ძირი, აურიონ ფქვილითა და წყლით ფაფისავით და ორ საათში ერთი საჭმლის კოვზი ჩააყლაპონ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ ავადმყოფობის წამლობა პატრონებისთვის საძნელოა და თუ ნასწავლი აქიმი იქნება—კარგია იმას აწამლებინონ.

### როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ეს ავადმყოფობა სხვებსაც არ გადაედოს.

ეს ავადმყოფობა გადაედება ხოლმე კარგა მყოფს არა თუ მარტო მაშინ, როდესაც ავადმყოფს მიეკარება, არამედ მაშინაც, როდესაც კარგა მყოფი ავადმყოფის გამონასუნთქ ჰაერს შეჰსუნთქავს, ან მკვდრის ლეშს დაჰსუნავს; ამის გამო ყველა ცხენის პატრონმა შემდეგი რჩევა უნდა მტკიცედ აღასრულოს:

1. ყველა ავადმყოფი ცხენი უნდა კარგა მყოფებს დააშოროს და სასმელი და საჭმელი სხვა (ცალკე) ჭურჭლით უნდა მისცეს ხოლმე.

2. ქვეშ ნაგები და ნეხვი ავადმყოფისა უნდა დაწვას ან მიწაში ჩაფლას ღრმად.

3. მომკვდარი ცხენი უნდა შორს წაიღოს, ტყავი დაუჭრას ზედ და ისე ჩაფლას მიწაში ღრმად.

4. თავლები, გომები და სადაც კი ავადმყოფი ცხენები ყოფილან, უნდა კარგა დაწმინდოს, შიგ ქარი ამუშაოს, კედლებს საღებავი წამალი რამე წაუსვას, მიწა უნდა გადათხაროს, და ახალი უნდა დააყაროს, დარაც ნივთი იქნება ან ჭურჭელი, ან იარაღები—სულ ნაცარწმულში უნდა გარეცხოს; ხამუტები, ან რაც ცხენზედ ყოფილა (თექალთო, ჩული და სხვ.) უნდა კარგა გაწმინდოს, გარეცხოს ნაცარტუტში; ხამუტები კი შეიძლება განავთოს.

როგორც ნაცადია, ზოგჯერ ეს სენი არ არის მომაკვდინებელი და გადამდები თვისებისა, ასე რომ თუ ბეჯითად უწამლეს ცხენებს, უთუოდ მორჩებიან; მაგრამ ზოგჯერ კი ისეთი ცუდი თვისებისაა, რომ წამლობაც არასა ჰშველის და მომეტებული იხოცება. მაინც ყოველთვის ამ სენიან ცხენს ბეჯითად უნდა უწამლონ და ზევით აწერილი გაფრთხილებაც იქონიონ, რადგან მორჩენის იმედი ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს პატრონს.

---

## ქიზიყელები ინგილოებში.

(დასასრული.)

მაშ, ჩემო ბატონო ქიზიყელო, ნუ გამიწყრები, რომ მე შენ გაძაგებ იმ ზარმაცობის, სიდამბლავობისა და უფაქიზობისათვის, რომელიც შენ მოგვგვარა სილარიბემ. მე, ვითარც

მწერალი და მეძიებელი ცხოვრების ურიგო მოვლენაების მიზეზებისა, რაში ვარ დამნაშავე? მე გულში არავისზე არა ვითარი ხაინათობა არა მაქვს. ძვირი—ეშმაკის საქმეა; მე კაცი ვარ და ყოველი კაცური არა არს ჩემგან შორს. მაგრამ თუ შენ არ დაიშლი და მუდამ იმას იტყვი, რომ მე ქიზიყელებს ვაძაგებ და მძულან, მე გეტყვი პოეტის სიტყვას:

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდამვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე გვძრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ილ. ჭავჭავაძე.

ჩემს სიძულილში არვარგ ცხოვრებისადმი რაოდენიც სიყვარულია ქიზიყელებისადმი, ამას თუ ბრიყვი გონება კაცისა ვერა სცნობს, ხომ იცის ღმერთმა, რომ ჩვენი სიყვარულით და კეთილი წადილით სავსეა. ახ! ღმერთმან ინებოს, რომ მათ აღყვავებული ცხოვრება ჰქონდეთ. მეც ისა მსურს, რომ ქიზიყელმა ახალი უმჯობესი ცხოვრება მოიპოვოს და მისი ჩამქრალი ცხოვრება აღივდეს და გაფოლადიანდეს. მე მსურს მას შთავბერო სიზიზღე უმისმილო ცხოვრებაზე, შეუცვალო ძველებური შეხედულობა ცხოვრებაზე, შთავბერო მომეტებული ენერგია, გამჭრიახობა შრომისათვის, შთავაგონო სწავლის საჭიროება ცხოვრების გასაუმჯობესობლათ და გასაფაქიზიანებლათ. ამისათვის რომ ჩვენ დროს, როდესაც სამეურნეო მოქმედება ცხოვრებისა გასაუმჯობესობლათ პირველ სახსრათ მიაჩნიათ და ყველანი პატივსა სცემენ, აზრი, მოსაზრება ძლიერ ადვილათ შეუძლიან კაცს საქმეში მოიხმაროს, და ხალხი, რაც გინდ არვარგს მდგომარეობაში იყოს, მაინც და მაინც მთელს თავის ყურადღებას მიაქცევს სასოფლო მეურნეობას, მეხანიკას და ტეხნოლოღიას, შეიძლებს გაიხსნას თავისი ფაბრიკები, გააუკეთესოს ჯიში საქონლისა, მოიგონოს სხვა და სხვა ახალი და ახალი სახნავ-სათესი იარაღები და სხვ.; ერთის სიტყვით ხალხი, რაც გინდ შევიწროებულ მდგომარეობაში იყოს, მაინც და მაინც მოუმატებს რასმე თავის სიმდიდრეს; ამასთანავე გამდიდრების დაგვარად ის შეიძლებს დაიცვას და წარმატება მისცეს მუშაობას, მოიპოვოს ჩვეულება და ნიჭი გონიერულათ შრომაზე, თუ კი, ის ცოტაოდენათ მაინც არის, განანათლებს ჭკუა-გონებას. ჯერ ჭკუა-გონება უნდა იყოს დაწმენდილი წიგნის სწავლითა და განათლებითა, ჭუჭყიანი გული იყოს ცხურებული ღმობიერების ზეთით, რომ იგი მოლბეს და განმდეს და მერე სიფაქიზე და გონიერული შრომა შეიყვარიას. უამისოთ კაცი ვეროდეს ვერ გამოვა სიღარიბისა და სიჭუჭყისაგან. მაშ ეს თუ ასრეა, ქიზიყელი უნდა მიეშუროს თავის ახალ თაობის განათლებას.

არამც თუ კაცის კერძოობითი ცხოვრება, არამედ მთელი ხალხის ისტორიაც სხვა და სხვა წვრილმანი გარემოებისაგან წარმოშობილ შემთხვევათაგან შესდგება. ამისა გამო, თუ ეს შემთხვევანი კაცმა კარგათ იცის, რამოდენათმე ნამდვილს დასკვნა გამოიყვანს, თუ რა შედეგი ექნება ამაებით შემდგომს ხალხის ცხოვრებას. მაშა სადამე მეც შემიძლიან ვიფიქრო, რომ ჩემს დასკვნას რამოდენათმე სიმართლე აქვნდეს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თუ ქიზიყში დიდხნობამდე გასწია ამ გვარმა უმოსავლობამ, და ხალხი გაუნათლებელი დარჩა, უთუოთ ის მოიფანტება უფრო მოსავლიან საქართველოს მაზრებში. მე ქიზიყს ამას არ ვუწინასწარმეტყველებ; აქ ჯერ საქმე ამაზე არ მიმდგარა, აქ ჯერ ბევრია მდიდარი კაციცა საქონლით და ფულით, მაგრამ, მკითხველო, კარგათ დაიხსოვე, რომ ქიზიყში მომეტებული ნაწილი ხალხისა არის უმამულო და ძლიერ ღარიბი, ასე რომ მათგანი არა ერთი და ორი, მეტადრე დედაკაცები უმოსავლო წელიწადში იქვე სოფლებში ერთი კუჭის გაძღომაზე მუშაობენ. დედაკაცები ან ერთ კასრ ფქვილზე, ან ერთ მუცლის ხორაგზე უმუშავებენ ხოლმე რამდენსამე დღეს უფრო შემძლებლებს. მაგ. მატყლს ართავენ, ბუმბულს არჩევენ, გასათხოვარ ქალს ხელსაქმეში შველიან, საბნებს ჰკერავენ და სხვ.

ეს ყველაფერი ქიზიყის ამბავი ასე დაწვრილებით ინგილომ საიდგან შეიტყოვო, ვგონებ, ამბობს მკითხველი. ნუ გიკვირს ჩემო ბატონო მკითხველო; რადგან მე ვარ დასიძებული ქიზიყისაგან, ამისა გამო მე მათ ხშირათ ვესტუმრები ხოლმე. მაგრამ ეს კი არის, რომ მე, როგორც ქართველი იტყვის ხოლმე, უმადური კაცი ვარ; მასმევენ, მაჭმევენ, ოდეს მე მათ ვესტუმრები; მაგრამ მაინც და მაინც ამ სიკეთის დახსოვება არ ვიცი, და კიდევაც ვცდილობ მათი სიცუდე საქვეყნოდ გამოვაცხადო. ეს მე იმისათვის მომდის, რომ მე, ჩემის ცუდის ხასიათისა გამო, კაცს მუცლითქა[...]
ვერ ვემეგობრები და ვერ ვემოყვრები. მერე
მუდამ ისა მსურს, რომ კაცი აზრით და სიწმიდი[...]
ნდით დამიმეგობრდეს; თუ არა და ერთი ღვიმო[...]
ნის დალევინებით და კარგის მასპინძლობითრო[...]
მე კაცს არ ვაქებ და ვადიდებ. დიდება სიწმიდე[...]
ნდეს ეკუთვნის და არა ბოროტს. უმისმილოძვ[...]
ცხოვრების ხვედრი ლანძღვა და კიცხვა გახ-ვა[...]
ლავთ, ჩემო მეგობარო მკითხველო; მე კით[...]
ასრე ვსჯი, თქვენ კი ვითარცა გსურდეთ, ისრე ბა[...]
იფიქრეთ.

მაგრამ, მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ მე თ[...]
მით ჩემს სტატიას ვათავებდე, მე იმის შემდეგ ი[...]
რაც დავწერე მსურს ერთი ორი სიტყვა ვსთქვა ჩემს და ჩვენის მწერლების ჯილაბაზე, რადგან მსურს, რომ ქართველმა კაცმა შეიტყოს, თუ რამდენათ ეწევიან ისინი საქართველოს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას. მემცხვარემ იცის, რომ იმას შრომისათვის ცხვარი მისცემს რძეს, ყველს, მაწონს, მატყლს და სხვ. მხვნელ-მთესველმა იცის, რომ მიწა მას მოსავალს მისცემს, აგრეთვე კალატოზმა და ფეიქარმა იციან, რას გამორჩებიან თავიანთ შრომას. მაგრამ ჩვენ მწერლებმა ვიცით, რა სარგებლობას მისცემს ხალხს ჩვენი მწერლობა? ბევრი გვყავს პრაქტიკული მწერლები? გვყავს სახალხო მწერლები? რასმე ვასწავლით ხალხს ჩვენის მწერლობით? ამ კითხვებზე მეპასუხს ვერ მივცემ მკითხველს და თუ მაინც და მაინც მათქმევინა, მე უნდა გავსტყდე და ვსთქვა: ჩვენი მწერლები ყველანი თითქმის გამოუცდელნი ვართ ცხოვრებაში და ძლიერ ალტაცებით ვჯით ყოველს კარგს საქმეზე, მრავალს ჩვენთვის სასიამოვნო ციხე-დარბაზებს ვაშენებთ ჰაერში; მაგრამ, რომ მოგვხედოს გონიერმა გამოცდილმა მწერალმა, უთუოთ შეგვატყობს, რომ ჩვენ კენჭის გადაბრუნებაც არ შეგვიძლიან ჩვენის მწერლობით და არამც თუ მით ხალხის ცხოვრება შევძრათ. უთ ფლო ბუზებსავით აქა-იქ დავფრინავთ და ხან ერთ საგანს ვაჯდებით კისერზე, ხან მეორეს და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ხეირს ვაძლევთ ჩვენის მწერლობით. ყვავილებიდამ თაფლის მგროვებელი ფუტკრები ჩვენში ჯერ გვიან დაიბადებიან. უეჭველი, რომ ამ გვარი ჩვენი სისაწყლე ძლიერ საწყენია, უფრო ამისათვის, რომ ბატონ-ყმობა გათავდა და ამასთან ძველი დროებაც საუკუნოდ დაილუპა. ამ შემთხვევით ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპო-

ოქა. მაშასადამე ჩვენ ისრეთ დროსა ვცხოვრებთ, რომელიც ძლიერ შესანიშნავია და დიდს გონიერულს გაფრთხილებულს შრომას მოითხოვს ჩვენგან. დროება ჩვენგან ითხოვს, რომ ჩვენ ძველი ცხოვრების შენობა დავარღვიოთ და ახალი ავაშენოთ მტკიცე საფუძველზე. ეს ჩვენი პირდაპირი ვალია, მაგრამ ვასრულებთ ამ მოვალეობას? სრულიადაც არა, თუმც ამას ითხოვს ჩვენგან მომავალი თაობა. ეს ემზადება ჩვენ გაკიცხვას, თუ რასაც დროება ითხოვს, არ აღვასრულეთ. როგორათაც ყველა მუშას თავისი ხელობა აქვს და იცის რაში მოიხმარებს თავის ნაწარმოებს და ამ გვარათ საქმეს აკეთებს, აგრეთვე ჩვენც მწერლებს თავთავიანთი ალაგები უნდა დავიჭიროთ და ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. როგორც დურგალი თავის სკამს რანდავს, აგრეთვე ჩვენც უნდა ვეცადნეთ არვარგი ცხოვრება გავრანდოთ, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ სინათლე და სითბო მოიპოვოს. თუ არა და რომლის განკითხვითა განვიკითხავთ ჩვენ წარსულ თაობას, იმით ჩვენც განვიკითხებით, რომლითა საწყაულითა მივუწყავთ იმით ჩვენც მოგვეწყვების. მაგრამ როდის იქნება ჩვენი მწერლობა წარმატებითი? უეჭველია რომ მაშინ, როდესაც ყველანი საქმეს ხელს მოვკიდებთ გონიერულად. უეჭველია, რომ ყველას საქმე გამოუჩნდება. ამასთანავე საჭიროა, რომ კაცად-კაცადმა იმას მოჰკიდოს ხელი, რაც შეუძლიან, რადგან ყველას ერთ გვარი ნიჭი არა აქვს. ბუნებას ისრე გონიერულათ გაუნაწილებია ეს ნიჭი კაცთა შორის, რომ ყველა კაცს ერთ გვარი საქმის შესაფერი ნიჭი არა აქვს. ერთს კარგი დურგლობა შეუძლიან, მეორეს ხვნათესველობა, მესამეს ფიქრობა და სხვ. მაშასადამე ლიტერატურაც მაშინ არის ნაყოფიერი, ოდეს ემსახურება თავის დროების ხალხის სხვა და სხვა ხელობის დაგვარად ინტერესებს. ბელლეტრობა, ესე იგი ენის დაფერადება მჭევრმეტყველობით, ჩვენთვის უპირველეს საჭიროებას არ შეადგენს. თეორია ხელოვნებისა თვით ხელოვნებისათვის არაოდეს საყოველთაო არ გამხდარა. ვისაც ამისთვის უმსახურნია, ის უგზო-უკვლოდ დაკარგულია, თუნდ რომ გენიოსიც ყოფილიყოს. უეჭველია, რომ ჩვენი რუსთაველი ამდენხანს ხალხის მეხსიერებიდამ ამოიფხვრებოდა, თუ რომ ჩვენ ლიტერატურას ცოტაოდნათ მაინც არა წარმატება ჰქონოდა. მართალია „ვეფხვის ტყაოსანში" ბევრია გონიერული აზრები, მაგრამ რადგან ის პრაქტიკაში გამოუსადეგია, ამისათვის მე ერთ უბრალო უსწავლელ კაცს, რომელიც კი გააუმჯობესებს გუთანს, უფრო ვაქებ, ვიდრე ამ მწერალს. მაგრამ რაღროსაც ეს სცხოვრებდა და სწერდა, ამ დროს, განათლებულს ხალხებშიაც, ძლიერ იშვიათი იყო მისებრი მწერალი. ჩემი სურვილი ის არის, რომ ლიტერატურა ცხოვრებას უნდა ემორჩილებოდეს. ყოველი სტატია ცხოვრებაში გამოსადეგი უნდა იყოს; გამოიკვლევდეს ჩვენ ცხოვრებას და აწმყო კითხვებსა. ყველა მწერალმა უნდა აწონოს თავისი ღონე და მერე შესწიროს ერთ რომელსამე საგნის ყოველის მხრივ გამოკვლევას და გამოძიებას. მწერლობის ვალი ის არის, რომ ყურებში ბამბა არ დაიცვას და თვალები არ დახუჭოს, ყველაფერი, რაც მოჰხდება, ცხოვრებაში ავი თუ კარგი, მაშინვე მოჰკიდოს ხელი და წარმოთქვას ლიტერატურაში, და ამ გვარათ ხალხის ცუდ ჩვეულებაებს ფესვი მოუკვეთოს: ერთის სიტყვით მოჰბეროს ახალი გამაცოცხლებელი ჰაერი ცხოვრებისა, ისე რომ წიგნის მკითხველი აღტაცებაში მოიყვანოს და მტკიცედ განაზრახოს მუდამ კითხვა. მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ ლიტერატურა საზოგადოების საჭიროებათ გახდეს, როდესაც ის მის ჭკუა-გონების გახსნას შეეწევა. ცხოვრება უარს ჰყოფს თეორიებს არამც თუ მაშინ, როდესაც ისინი გამოუსადეგნი არიან, არამედ მაშინაცა, როდესაც ესენი კარგნი არიან, მაგრამ საფუძველი ცხოვრებაში არა აქვთ. მაშასადამე იმ კაცმა არ უნდა იკისროს მწერლობა, რომელსაც ამ პირობების ასრულება არ შეუძლიან. მაგრამ უკაცრაოთ მკითხველო! მაპატიევე, მე ეს აზრი წამამცდა, თორემ არ ვიტყოდი, ამისათვის რომ ამ აზრის საფუძველზე მეც ხელი უნდა ავიღო მწერლობაზე, რომელიც მე არ შემიძლიან, თუნდ რომ მკლავდეთ. მე ეს იმ გვარ მწერლებზედა ვსთქვი, რომელნიც ამ ხელობით ცდილობენ გამდიდრდნენ, მაგრამ ცხოვრებისა ინჩი-მინჩიც კი არ გაეგებათ. ამისა გამო მე ძლიერ დიდათ მსურს, რომ ამ გვარი მწერლები ღმერთმან გვაშოროს. . . . . . ამის საბუთებს მოგახსენებდი, მკითხველო, მაგრამ რადგან ჩემის გრძელის საუბარით თავი მოგაწყინე, ამისათვის მსურს დავაბოლოვო — და ქიზიყს ვურჩიო, რომ მან დაუყოვნებლივ პურის მაღაზიები გაიხსნას სოფლებში. ამით ის ბევრათ შეიკავებს ზაქათალის მაზრაში თავის შვილების შემოსვლას და გაუადვილებს უმოსავლო წელიწადებში მათ ცხოვრებას. რომელი მამასახლისიც კი ამაების აღსრულებაში მოიყვანს იკისრებს და აასრულებს, ის ბედნიერი და ხალხისაგან დაუვიწყარი იქნება. (*)

ინგილო

1867 წელს.
1 ოკტომბერს.

---

## არითმეტიკა.

(გაგრძელება).

### ექვსი
### 6.

ავიღოთ ჯოხი და გავყოთ ექვს თანასწორ ნაწილად.

(პირველი სურათი.)



თითო ნაჭერს რა ჰქვიან? ერთი მეექვსედი.—როგორ იწერება მეექვსედი?—აი ასე: $^1/_6$. მასწავლებელმა უნდა დააწერინოს ყმაწვილს ეს ნიშნები.—ორი ამისთანა ნაწილი რას შეადგენს? ორს მეექვსედსა.—აბა როგორ დასწერ ამას?—აი ასე: $^2/_6$.—ახლა დასწერე სამი მეექვსედი. $^3/_6$.—ახლა ოთხი. $^4/_6$.—ახლა ხუთი მეექვსედი. $^5/_6$.—მაშ დავსწეროთ ექვსი მეექვსედი: $^6/_6$.

(მეორე სურათი.)




ერთი მეექვსედი და ერთი მეექვსედი რამდენია?—ორი მეექვსედია $^2/_6$.—ორი მეექვსედი და ერთი მეექვსედი რამდენია?—სამი მეექვსედია $^3/_6$.—სამი მეექვსედი და სამი მეექვსედი რამდენია?—ექვსი მეექვსედია $^6/_6$.

ახლა ავიღოთ ისევ იმ ზომის ჯოხი და გავყოთ სამ ნაწილათ. ერთ ნაწილს რა ჰქვიან?

---

(*) ძლიერ სასიამოვნო იქმნებოდა, რომ ამაზე ჩვენ მომავალში ქიზიყელის პასუხი წაგვეკითხნა. იქმნება ზოგიერთს ჩვენ ვცდებით. ამ გვარი შენიშვნა ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა და არა საწყენო. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—Ერთი მესამედი.—Აბა

$^1/_3$



მესამე სურათი.

$^1/_6$



Როგორ იწერება ერთი მესამედი?—Აი ასე $^1/_3$. —Ერთი მესამედი უფრო დიდია თუ ერთი მეექვსედი?—Დაჰრილს ჯოხებს რომ დააკვირდე, მაშინვე მიხვდები, რომ, ერთი მესამედი უფრო დიდი ნაჭერია.—Მესამედში რამდენი მეექვსედი გამოდის?—Დაჰრილს ჯოხებზე ეტყობა, რომ ერთს მესამედში ორი მეექვსედია.—Სამი მეექვსედი და სამი მეექვსედი რამდენია?—Ექვსი მეექვსედია.—Მაშ სამი მეექვსედი რას შეადგენს? (იხილე მეორე სურათი): მთელი ჯოხის ნახევარს.—Ექვსი მეექვსედი რაღას შეადგენს?—მთელს ჯოხსა. Ახლა მოკლეთ განვიმეოროთ ის, რაც ზემოთ ვისწავლეთ. Მთელი ჯოხის მესამედში რამდენი მეექვსედია? —Ორი (იხილე მესამე სურათი).—Მთელი-ჯოხის ნახევარში რამდენი მეექვსედია?—Სამი. (იხილე მეორე სურათი).—Მთელს ჯოხში რამდენი მეექვსედია?—Ექვსი მეექვსედია. (იხილე პირველი სურათი)

— Საანგარიშო ნიშნებს გარდა კიდევ სხვა ნიშნებიც არის, რომ აჩვენონ ორი რიცხვის შეერთება, ან ერთი მეორისგან გამოკლება, ან ერთი მეორით გამრავლება, ან ერთი მეორით განაწილება, გაყოფვა.

— Მაგალითად სამს რომ სამი მიუმატო რამდენია?—ექვსია.—Ესევე აზრი დავსწეროთ ნიშნებით.

$3 + 3 = 6$

მიუმატე შეიქნა

Რას ნიშნავს ეს ნიშანი +? + ეს ნიშანი აი ამ სიტყვებს ნიშნავს? „მიუმატე", „კიდევ", „და".

$2 + 2 = 4$ $3 + 2 = 5$,

კიდევ შეიქნა და შეიქმნა

+ Ეს ნიშანი როგორ ითქმის?—„მიუმატე" „კიდევ" „და". Ამ სამს სიტყვებში რომელიც გინდა, ის იხმარე, სულ ერთია.

= Ეს ნიშანი რაღას აცხადებს?—„შეიქმნება", „უდრის", „იზამს".

= Ამ ნიშნის სახელად, იმ სამს სიტყვაში რომელიც გნებოს, ის იხმარე, სულ ერთია.

$1 + 2 + 3 = 6$ $2 + 4 = 6$.

და კიდევ უდრის და იზამს

$5 — 3 = 2$ $6 - 4 = 2$

ხუთს გამოაკლე სამი შეიქნება ორი. უ იზამს

— Ეს ნიშანი რას ნიშნავს? Ეგ ნიშნავს ამ სიტყვებს: „გამოაკლე" ან „ნაკლე" ან „უ".

$2 \times 3 = 6$. Ორჯერ სამი შეიქმნება ექვსი.

$\times$ Ეს ნიშანი რას ნიშნავს:—ეგ ნიშნავს ამ სიტყვებს: „ჯერ" ან „გაამრავლე".

$6 : 3 = 2$ ექვსი გავყოთ სამათ შეიქმნება ორი. Ექვსი დავაპატარაოთ სამჯერ შეიქმნებაორი.

: Ეს ნიშანი რაღას ნიშნავს?—Ეგ ნიშნავს ამ სიტყვებს: „გავყოთ, შევამციროთ".

Სამ კაცს რამდენი თვალი აქვს?—Სამს წყვილს ხელთათმანში ერთი წყვილი დაიკარგა, რამდენი ხელთათმანი დარჩა, სათითოვოთ?—Ორმა ყმაწვილმა სამ-სამი ვაშლი იყიდა, ორივემ რამდენი იყიდა?—Შენ ორი კოჰი გაქვს, მე სამჯერ მეტი, აბა რამდენი კოჰი მაქვს?—Დიტოს ექვსი ვაშლი აქვს, Ვანოს სამჯერ უფრო ცოტა, რამდენი ჰქონებია?—Სამს ყმაწვილს მსხლები მისცეს; ერთს ორი ერგო, მეორეს სამჯერ უფროსი, მესამეს მეორეზე ორჯერ ნაკლები, თითოს რამდენ-რამდენი რგებია?—Პირველს ორი, მეორეს ექვსი და მესამეს—სამი.—Ბასილას ექვსი კაკლის მესამედი აქვს, Პეტრეს ექვსი კაკლის ნახევარი; ორთავეს რამდენი კაკალი აქვთ?

Ექვსჯერ ერთი რამდენია?—Ერთჯერ ექვსი რამდენილაა?—Ორი და სამი?—Ექვსში სამი რამდენჯერ იმყოფება?—Ექვსს რომ სამი გამოაკლო, რაღა დარჩა?—Ექვსის ნახევარი რამდენია?—Ექვსის მესამედი რამდენია?—Ექვსს ორი რამდენჯერ შეგიძლიან წაართვა?—Ექვსიდგან რამდენჯერ შეგიძლიან ერთი გამოაკლო?—Სამის გამოკლება რამდენჯერ შეიძლება?—Ორჯერ ორი რამდენსა იქმს?—Ოთხსა.—Სამჯერ ორი რამდენია?—Ექვსის მესამედი ოთხში რამდენჯერ იმყოფება?—Ოთხის ნახევარი მერამდენე ნაწილია ექვსისა?—Ექვსიდგან სამჯერ რომელი რიცხვი შეგიძლიან გამოაკლო?—Ამავე რიცხვს ოთხიდგან რამდენჯერ გამოაკლებ?

ნიშნებით წერა.

$1\ 1\ 1\ 1\ 1\ 1 = 6$.

შეიქნება

| 1 ერთი
| 1 ერთი
| 1 ერთი
| 1 ერთი
| 1 ერთი
| 1 ერთი

სულ ს ექვსია

$1 + 1 + 1 + 1 + 1 + 1 = 6$

კიდევ იზამს

$6 \times 1 = 6$ $1 : 6 = 6$ ერთი იმყოფება ექვსში ექვსჯერა.

ჯერ იზამს

$6 - 1 - 1 - 1 - 1 - 1 = 1$

გამოაკლე იზამს

1 1 2
1 1 2
1 1 2

სულ 6

$2 + 2 + 2 = 6$

$3 \times 2 = 6$

ჯერ

$6 - 2 - 2 = 2$

გამოაკლე დარჩება

1 1 1 3
1 1 1 3

სულ 6

$3 + 3 = 6$

და შეადგენს

$2 + 3 = 6$

$6 - 3 = 3$

$6 : 3 = 2$

შეამცირე სამჯერ დარჩება ორი.

1 1 1 1 4
1 1 2

სულ 6

$4 + 2 = 6$

კიდევ იზამს

$2 + 4 = 6$

$1 \times 4 + 2 = 6$

ჯერ და

$6 - 4 = 2$

$6 : 4 = 1$ (2) ექვსში იმყოფებ ოთხი ერთჯერ და დარჩება ორი.

1 1 1 1 1 5
1 1

სულ 6

$5 + 1 = 6$

$1 + 5 = 6$

$1 \times 5 + 1 = 6$

ჯერ

$6 - 5 = 1$

$6 : 5 = 1$ (1) ექვსში იმყოფება ხუთი ერთჯერ და დარჩება ერთი.

$3 = {}^1/_2 \times 6$ (სამი შეადგენს ექვსის ნახევარს)

$2 = {}^1/_3 \times 6$ (ორი შეადგენს ექვსის მესამედს)

$1 = {}^1/_6 \times 6$ (ერთი შეადგენს ექვსის მეექვსედს).

Ლოტში რამდენი მისხალია?—Სამი. (თუ მასწავლებელს მოხერხება აქვს, ძალიან კარგი იქნება თვალით აჩვენოს მოწაფეს სასწორი, მისხალი და ლოტი).—Ოყა რამდენი გირვანქაა?—Სამი.—Ორი ოყა რამდენს გირვანქა იზამს?—Ლოტი მისხალზე რამდენჯერ უფრო დიდია? Ოყა რამდენჯერ მეტია გირვანქაზე?—Სამჯერ. (Ყმაწვილს, უნდა უჩვენო არშინი და უთხრა ამ ზომით სიგძეს ზომავენ თქო).—Შ... შას რითი ზომავენ?—Საჟენობით.—Საჟენი რამდენი არშინია?—Სამი.—Ორ საჟენში რამდენი არშინია?

Ერთს საკაბეს ხუთი მისხალი აბრეშუმი მოუნდა; მეორე საკაბეს ერთი ლოტი; მეორე საკაბეს რამდენით ნაკლები მოსდომებია?—Ერთი მისხალი ძაფი ღირს ორ კაპეიკათ, ერთი ლოტი რამდენათღა ღირს?—Ბასილმა იყიდა სამი პური ექვს კაპეიკათ, თითოში რა მიუცია? Ერთი არშინი გრეხილი სამ კაპეიკათ ღირს, ორი არშინი რამდენათ ღირს?—Ორი ნაჭერი გრეხილი ექვს კაპეიკათ ღირს, ერთში რას მისცემ?—Ერთ მისხალს პილპილში ერთი კაპეიკი მიუციათ, ორი ლოტი პილპილი როგორღა მოვა?—Სამ ჯიბეში ექვსი ვაშლი მაქვს, თითო ჯიბეში რამდენილაა?—Თითო ვაშლი ნახევარ კაპეიკათ ღირს.—ექვსი ვაშლი რამდენათღა ღირს?—Ერთი საჟენი შეშა სამ მანეთად ღირს, ორსაჟენში რამდენი უნდა მისცე?—Ექვს კაპეიკათ ექვსი თაბახი ქაღალდია, ორ კაპეიკათ რამდენი მოვა?—Მიხაკოს ექვსის ნახევარი აქვს და Სვიმონს ექვსის მესამედი, ორთავეს რამდენი კაპეიკი აქვს?

Ახსნა

Მიხაკოს ექვსი კაპეიკის ნახევარი აქვს, მაშ იმას ჰქონია სამი კაპეიკი; Სვიმონს ექვსი კაპეიკის მესამედი აქვს, მაშ იმას ჰქონია ორი კაპეიკი; ორთავეს—ხუთი კაპეიკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го апрѣля 1868 г. Ს. Მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. Რედაქტორი და გამომცემელი Გ. Წერეთელი